სვანი მოხუცის [illegible] [illegible]

Фонд № 287 1 ед. хр. 96

Фонд № 287 1 ед. хр. 96

დასკანირებულია 15.01.25 21

მუდმივი შენახვის
ПОСТОЯННОГО ХРАНЕНИЯ

13.

„[illegible]", 1984. 7/II №26

# დღეგრძელი იყავ, კოჩა!

**რეცენზია**

სამ ათეულ წელზე მეტია აფხაზეთში ილწვის და ნაყოფიერ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი ევგენი აქუბარდია. მისი ყოველი ახალი წიგნი შემოქმედებითი წინსვლის, სწრაფვის, ამაღლების გამოხატულებაა. ჯერ კიდევ 1968 წელს გამოქვეყნდა ე. აქუბარდიას ტრილოგიის პირველი წიგნი „კოჩა", რომელმაც მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის საკითხზე გამოცხადებულ რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვება მოიპოვა. მას მოჰყვა მეორე წიგნი 1974 წელს, ხოლო 1983 წელს გამოქვეყნდა მესამე, რომლითაც დასრულდა ვრცელი ეპიკური ნაწარმოები.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ევგენი აქუბარდიას ტრილოგია „კოჩა" ავტობიოგრაფიული რომანების რიგს მიეკუთვნება, მაგრამ ეს სრულიადაც არ გვიშლის ხელს აღვიქვათ და გავიაზროთ ის როგორც ერთი მთლიანი, მხატვრული განზოგადებებით სრულყოფილი ნაწარმოები, რომლის მთავარი გმირის სახით ავტორი თითქოს საკუთარი ცხოვრების ისტორიიდან გვახედებს მის მიერ გამოსახულ დროსა და მოვლენებში. ორი ფაქტორის — ავტობიოგრაფიული ელემენტებისა და ცხოვრების ნამდვილი ამბების ერთმანეთთან ოსტატური შეზავება ანიჭებს „კოჩას" გარკვეულ ისეთ მომხიბვლელობას, რომლის მიღწევისათვის ლიტერატურა და ხელოვნება ყოველთვის უბრალოების და სიცხადის გზით მიდიოდა. გავიხსენოთ ერთი ძველი პოეტური გამონათქვამი: „რაც გინდ ძვირფასი სამკაული დაგკიდონ მკერდთან, არა და არა, ლექსი მაინც ვერ იელმასებს, თუ მას თან ეშხად აღარ ახლავს სამი რამ ერთად: უბრალოება, სისადავე და სილამაზე".

ევგენი აქუბარდიას ტრილოგიის მთელი სილამაზე მის უბრალოებაშია, სისადავე — მის სიწრფელეში, ხოლო მიზნის სიცხადე — მის ზნეობრივ სიწმინდეში. ნაწარმოები თითქოს ამოზრდილია პურის ჯეჯილივით იმ მიწიდან, რომელზედაც ავტორის ადამიანური ყოფის პირველი კარავი იდგა. ამიტომ მის ფურცლებზე ძალუმად იგრძნობა მიწის სინოყივრე, მადლი და ბარაქა, მიწის ყივილი და სიყვარული, ყოველივე მიწიერი, მიწისეული ტრადიციებისადმი ფანატიკური ერთგულება.

ეს უკანასკნელი უნდა გავიგოთ არა როგორც რაიმე რელიგიური ფანატიზმის ფეტიშიზაციის ცდა, არამედ პირიქით — მისი არსებითი უარყოფის ბაზაზე იმ ადათ-ჩვეულებების გახსენების, აღდგენის და აღორძინებისკენ მიმართული სწრაფვის გამოხატულება, რომლებიც თვით მიწამ წარმოშვა, როგორც მასზე საუკუნეების განმავლობაში მიჯაჭვულ ადამიანებს შორის კეთილი ურთიერთობის წყარო.

ასე იქცნენ ეს ადათ-ჩვეულებანი გლეხური ცხოვრების დაუწერელ მორალურ კოდექსებად. იგი გადაეცემოდა შთამომავლობიდან შთამომავლობას, როგორც ძვირფასი მემკვიდრეობითი განძი, სულიერი ფასეულობა, სოფლის სიმტკიცის, ერთიანობის და ძლიერების საფუძველი. მას ერქვა შრომა, პატიოსნება, ზრდილობა, თანადგომა ჭირსა და ლხინში, ურთიერთ გატანა და ურთიერთ პატივისცემა, მას ერქვა სილაღე, სიმწარე, იმედი და ლტოლვა, მას ერქვა ღირსეულის დაფასება და ულირსის გაკიცხვა, რწმენა და პათოსი, მას ერქვა ენთუზიაზმი, გამარჯვების სიხარული, მოპოვებული თანასწორობის სიდიადე.

ასეთი იყო ქართული საბჭოთა სოფელი თავისი ყოფით და ადათ-ჩვეულებებით ომამდე, ომის პერიოდში და ომის შემდგომაც. სწორედ ერთი ასეთი სოფლის სურათებია გადაშლილი ევგენი აქუბარდიას ტრილოგიის პირველ წიგნში. ეს სოფელი შეფენილა ენგურის ნაპირებთან, ჭვარის დაბლობზე, იმ ადგილას, სადაც „ზამთარ-ზაფხულ ქარი ქშუის ლეხერადან", სვანეთის მთიანეთიდან.

აქ, ისე როგორც ყველგან, ზურგის ყველა ტერიტორიაზე, თითქმის ჩამქვდარია სიცოცხლის ეშხი. ომის საშინელება აქაიქ მეგრულ შეკივლებებში იხატება ცრემლად და ტკივილად. ფოსტალიონს ფრონტებიდან ყოველდღე მოაქვს ომში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ცნობები. მაგრამ მწუხარება და განსაცდელი უფრო შეჭიდებიდან, ოჯახური და გარეშე წრის ადათ-ჩვეულებებიდან, სკოლის პირველი მერხიდან და იმ პირველი რაციონალისტური შთაგონებიდან, რომ შენზე გაწეული ამაგი ზნეობრივი ვალია, რომელსაც გადახდა უნდა, რომ მისი გადახდით შენ ესტაფეტას გადასცემ შენი ამაგით დავალებულ შენს შთამომავალს და რომ ჯაჭვის რგოლების ეს უწყვეტობა ქმნის ჯერ ოჯახის, როგორც სახელმწიფოს ბურჯის, ხოლო შემდეგ თვით სახელმწიფოს სიმტკიცესა და ურღვეობას.

მაშასადამე, ყველაფერი თითქოს მარტივი, ანბანური აქსიომებიდან იწყება, იგი იწყება პირველყოფილი დიდაქტიკური მოძღვრებებიდან, შემდეგ ეპოქებსა და საუკუნეებში, თვით ჩვენი დროის მიერ შევსებული და გამდიდრებული ზნეობრივი აკავებს სოფლად დარჩენილებს. საკუთარი და სახალხო ინტერესები ერთ ძალად შეკრულა. უფრო მეტი სითბო, სიყვარული და ერთგულება დამყარებულა ადამიანებს შორის, გაჭირვების ჟამს უფრო მეტად დარაზმულან ერთმანეთის მისაშველებლად, ჩამქრალი ღველფის ასანთებად და ქვრივ-ობლების დასახმარებლად.

ასე იწყება ნაწარმოების პირველ წიგნში კოჩას თხრობა მშობლიურ სოფელზე, ომისდროინდელ მწარე ობლობაზე, მამისეულ ქოხში პატარა დასთან ერთად არსებობისათვის გადატანილ ტანჯვაზე, მეზობლების მხარში ამოდგომაზე, ზრდასა და განვითარებაზე. არა მხოლოდ პირველი წიგნი, მთელი ტრილოგია კოჩას ცხოვრების ისეთი საინტერესო თავგადასავალია, რომელშიაც ნათლად და მკაფიოდ არის არეკლილი მისი ხასიათი, თვისებების, მისწრაფებების, უნარისა და ჩვევების ჩამოყალიბების, ფორმირების და წრთობის მთელი პროცესი.

ასე მივიღეთ კოჩას აღზრდის, სწავლის და დავაჟკაცების, ფართო სარბიელზე გასვლის, დიდ აღმშენებლობით საქმიანობაში მხურვალედ ჩაბმის, მშობლიურ კერასთან განუწყვეტელი კავშირის, ოჯახის შექმნის და სოფლის ტრადიციული ადათ-ჩვეულებების გაგრძელების ლამაზი ისტორია.

სწორედ ამ ისტორიისადმი ჩვენი თვალის ობიექტური მიდევნება გვაძლევს იმის საშუალებას, რომ შევიცნოთ ღადებითი, მისაბაძი ქცევები და მოქმედებები, ფიქრები და, იდეალები, რომლებიც ჩვეულებრივ წარმოადგენდნენ ჩვეულებრივ ვითარებებსა და გარემოებებში, მაგრამ დროის გარკვეულ პერიოდში დაკარგეს რა თავიანთი ძირითადი ფუნქცია, შთაინთქნენ რაღაც ბურუსში, რომლის შედეგად წარმოშობილ ნეგატიურ თუ ამორალურ მოვლენებზე წერა თითქოს ერთგვარ ნორმატივად იქცა.

ევგენი აქუბარდიას ნაწარმოების უპირველესი ღირსება მისი სწორი იდეური გამიზნულებაა. იგი არა მხოლოდ გვახედებს, არამედ გვაჯერებს და გვარწმუნებს იმ უბრალო, ისტორიული აზრის ჭეშმარიტებაში, რომ ადამიანის სულის წრთობა და გაკაჟება იწყება ბავშვობის დროიდან, შრომითი პროცესებიდან, სიძნელეებთან კატეგორიებიდან, რომელთა ქადაგებისათვის ყველაფერი კეთდება, მაგრამ... შესრულების კოეფიციენტი მაინც არსებითად ჩამორჩება ქადაგების დონეს. ასეთი უფსკრული ჰქმნის მორალურ დისპროპორციებს, იერარქიებს. და რაც უფრო ჭარბად თვით შესრულება მოექცევა ქადაგების სათავეში, მოქმედება, საქმე და მაგალითი იქცევა სიტყვის და პლაკატის ეტალონად, მით უფრო ადვილი იქნება იმ ზღუდეების გადალახვა, რომლებიც აღმართულია ჩვენს ირგვლივ, როგორც ხელშემშლელნი დასახული მიზნის მისაღწევად.

ევგენი აქუბარდიას რომანში ყოველი თხრობა რაიმე სენტენციის ქადაგება კი არ არის, იგი მისი ცხოვრების განვლილი ეპიზოდების ცოცხალი ფაქტებითა და მაგალითებით ამეტყველებაა. აქ თვით საქმე ეფუძნება სიტყვას. ეს ანიჭებს ნაწარმოებს ცხოველმყოფელობას, სისხარტეს და სიკაშკაშეს. ბავშვობიდანვე დაუზარელი, მუყაითი, ბეჯითი, შრომისმოყვარე კოჩა ამ ნიშნებით და თვისებებით იკაფავს გზას, იმსახურებს ნდობას, იხვეჭს სახელს. ეს ნიშნები და თვისებები მას ბოლომდე მიჰყვება როგორც სისხლხორცეულად შეზრდილი, როგორც „იოსების წყაროსადმი" — სოფლის ამ კოლორიტული „მარგალიტისადმი" სიყვარული. და მთელს მის ზნეობრივ, მოქალაქეობრივ ამაღლებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს კეთილი მეზობლების — ტატუ ოქროპირის, ორდე მჭედლის, თომა დურგლის, ილო ბრიგადირის, მოხუცი კოწიას ხალხური სიბრძნით გამსჭვალული ჩაგონებები, მათი გლეხური ცხოვრების წესი.

კოჩა მისდევს მათ ნაკვალევს, თვალწინ უდგას მათი დარიგებები სოფლის სკოლაში სწავლის და ხე-ტყის დაცურების კანტორაში მეტივედ მუშაობის დროს, ლაკოფრილა ხელებით უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად საგამოცდო ნამუშევრის შესრულების და სემესტრიდან სემესტრამდე სასესხო საგნების ჩაბარებისათვის გულმოდგინე მზადების, „დიპლომიანი ინჟინრის" წოდებით ახალ დაწყებულ ენგურის მშენებლობაზე ჩასვლის, ცირასთან ტრფიალებაში გუდურასთან მეტოქეობის და ციცაბო კლდეებთან ჭიდილში უკანასკნელი მძიმე განსაცდელის დროსაც, არასოდეს ივიწყებს მათ, ყველგან და ყოველთვის იხსენებს, იყენებს და იმარჯვებს კიდეც.

ხალხთან, ხალხურ სიბრძნესთან, მამაპაპეულ ტრადიციებთან და ჩვეულებებთან კავშირი ათასგვარი უხილავი ძაფებითაა შეკრული და გამოგვირისტინებული ნაწარმოებში. იგი კოჩას მხნეობის, ოპტიმიზმის, წინსვლის, აქტიური საზოგადოებრივი პოზიციის, სამშობლოს ინტერესების დაცვის უმთავრესი წყარო და საწინდარია. კოჩა ოდნავადაც არ დრკება იმ მომენტში, როცა დადგა თვით მშობლიური სოფლის რელიეფის შეცვლის, ენგურის წყალსაცავის შექმნის და გრანდიოზული აგრეგატების აშენების მწვავე პრობლემა. ამ პრობლემის სიმწვავის ერთ ნაკადს რთული ფსიქოლოგიური სარჩული ედო. აქედან ჩნდება ნაწარმოებში გარკვეული კოლიზია, რომელსაც გუტუ-მესუფრიას მსგავსი დაეჭვებული პერსონაჟები ჰქმნიან. მოვიტანთ აქ სიტუაციის სიმძაფრის ნათელსაყოფად დიალოგის ერთ ეპიზოდს.

„— ენგურს გვ̈ირაბით მეორე რაიონში ამოაყოფინებენ თავს, რაც გინახავს, ველარ ნახავ, ბაბაია!

— მერე ვინ კვებავდა ჩვენს სოფელს?

— ენგური: აგერ ხე-ტყე, სამუშაო, ტივი, მორების დაცურება.

— ჩვენთვის ენგურს მოჰქონდა, ბაბა, ფული, პური, შაქარი, ბრინჯი.

— ჩითი, მიტკალი... ომის დროს გვიშველა პირდაპირ.

— სწორია, აგერ შეშა და... — თომა დურგალიც ჩაერთო საუბარში. — ჩადი ურმით, ოღონდ ამოზიდე, შემდეგ ადუღუნე ბუხარი და...

— ჰოდა, ახლა ვინ აცლის პირიდან ლუკმას, სოფელს, ვინ, მესუფრავ?

— ვინდა, აგერ თქვენი გაზრდილი. იფ, იფ... ამაგის გადახდაც ასე უნდა!

— იმ ტოტს სჭრის, რომლის ნაყოფითაც ჩვენი სოფელი ცხოვრება...

— კოჩა აქ რა შუაშია, გიტუ! — შეეკამათა ილო ბრიგადირი, რომელიც აქამდე ხმას არ იღებდა.

— იმ შუაშია რომა... აქ ენგურს რომ დაგვიშრობენ, მერე რაფერ გინდათ რომ იცხოვროთ? ჰო, რაფერ?! კოჩა იმ შუაშია, რომ ჩვენი სისხლი და ხორცია, აქ გაზრდილი წინ მიუძღვება მშენებლებს... სოფელს აქცევს, რა ენაღვლება". („კოჩა", წიგნი II, გამომცემლობა „ალაშარა", 1974, გვ. 198, 199, 190).

შურისა და ეგოიზმის შხამმა ერთხანს გზა-კვალი მართლაც აუბნია მოსახლეობის ყველაზე ჯანსაღ ნაწილსაც კი. მათ დაივიწყეს ის ზიანი, რასაც აყენებდა ადიდებული ენგური სოფლელთა ნათესებს, ირწმუნეს ათასგვარი ჭორი და მონაჩმახი და განაწყენებულებმა ზურგი შეაქციეს კოჩას, „აბა, რას ვიფიქრებდი, შესაძლებელი თუ იყო, ჩემი და ჩემი კეთილი მეზობლების უანგარო, მთის ნაკადულივით სუფთა ურთიერთობის ამღვრევა; როგორ წარმოვიდგენდი, გაჭირვების ტალკვესნი, ჭირისას ყოველთვის მხარში რომ მედგნენ, ლხინისას განზე გამიდგებოდნენ". (იქვე, გვ. 197) — გვაცნობს მწერალი კოჩას განცდებს.

მაგრამ ეს განდგომა, ეს განაწყენება დროებითი და წარმავალი იყო. როგორც კი ენგურის ვიწროებში დინამიტებმა დაიქუხეს, „ურწმუნო თომებმაც" უკან დაიხიეს ერთბაშად. ისინი მალე საქმით დარწმუნდნენ დიდი ენერგეტიკული სისტემის მშენებლობის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაში, კვლავ ძველებურად მხარში ამოუდგნენ კოჩას დასახული გეგმების განხორციელებაში და მასთან ერთად ზეიმობენ დიდ შრომით დღესასწაულს — კაშხალის ბეტონის დამთავრებას.

და როცა ვკითხულობთ სრულიერად ამამაღლებელი და გამაფაქიზებელი ნაწარმოების ასეთ ფურცლებს, სადაც მომხვეჭელობას ზნეობრივი სისპეტაკე, და შრომითი ჰეროიკა ცვლის, უნებურად ჩვენს წინაშე უცნაური, სკეპტიკური კითხვები იბადება: სად ხდება ყოველივე ეს? როდის? ან საერთოდ უკანასკნელი პერიოდის ჩვენი ლიტერატურიდან გაქრა მისაბაძი გმირი? ხომ არ ჰგავს ეს ხელოვნურად გამოგონილ რაღაც ლამაზ მოჩვენებას?

სამწუხაროდ, ჩვენ გადავეჩვიეთ თითქოს სინამდვილის რესპექტაბლურ ჭვრეტას. ევგენი აქუბარდიას რომანი აქეთკენ მოგვიწოდებს. იგი გვარწმუნებს, რომ თვით ცხოვრებაშივე არიან ყოველმხრივ მისაბაძი ადამიანები. მხოლოდ საჭიროა მათი დანახვა, გამოსახვა და იდეალად ქცევა. ესაა ჩვენი ლიტერატურის, ჩვენი მწერლობის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა. ამ მოვალეობის შეგნებაშია „კოჩას" სასწავლო-აღმზრდელობითი და იდეურ-ესთეტიკური მნიშვნელობა.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ რომანის სამივე წიგნი ერთნაირი მხატვრული სიძლიერით იყოს დაწერილი. ნაწარმოების შექმნას თითქმის თხუთმეტი წლის ისტორია აქვს და, როგორც ჩანს, მწერლის შემოქმედებითი ენერგია ყოველთვის თანაბარი ინტენსივობით როდი ემსახურებოდა ჩანაფიქრის მხატვრული ხორცშესხმის ამოცანას. თუ პირველ წიგნში ავტორის თხრობა უძლერესად ლაკონური, ემოციური, სხარტი და ფერადოვანია, მეორე და უფრო მეტად მესამე წიგნში ზოგჯერ იგი დუნდება, მეორდება, მშრალ და სქემატურ ხასიათს იღებს. ამას თვით მწერალიც გრძნობს.

იგი მეორე წიგნის 225-ე გვერდზე ერთგვარი მობოდიშებით შენიშნავს კიდეც: „ახლაც თავი მომაქვს ჩემი ტკბილ-მწარე თავგადასავლით" — ამბობს კოჩა და იქვე უმატებს — „ამიტომ, ბუნებრივია, თვალი ხშირად გამირბის უკან, გამოვლილ გზისკენ; ერთი და იგივეს მოგონებისათვის მიმიტევოს გულშემატკივარმა მკითხველმა". რანაირი პირობაც არ უნდა დადოს კოჩამ ამ ნაკლის გამოსწორებისათვის, იგი მაინც ნაწარმოების ხინჯად რჩება.

სამაგიეროდ ნაწარმოებს გარკვეულ ელფერს მატებს ის, რომ იგი გადატვირთული არ არის იმ შრომითი, სასწავლო და საწარმოო პროცესების დეტალური აღწერებით, რომლებშიაც ყალიბდება კოჩას ხასიათი და თვისებები. ასეთი პროცესების თვით შედეგები თავისთავად ხატავს და შესანიშნავად გვიხსნის ნაწარმოების მთავარი გმირის ადამიანურ განცდებს, მაღალ იდეებს და მისწრაფებებს, მის მისაბაძ მაგალითებს.

...კეცავ რომანის უკანასკნელ ფურცლებს, ემშვიდობები მის პერსონაჟებს და უნებლიედ გინდა შესძახო:

— დღეგრძელი იყოს შენი გამოჩენა, ფეხის ადგმა და მოგზაურობა ჩვენს ლიტერატურულ სამყაროში, კოჩა!

— თანამოძმენი და მიმბაძველნი გიმრავლოს თავად შემქმნელმან!

— შენთან შეხვედრას, შენს გაცნობას და შენებ გამარჯვებას ვუსურვებდი ჩვენს მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას, ჩვენს მკითხველებს!

**აკაკი თოფურია,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ევგენი აქუბარდია, „კოჩა", რომანი სამ წიგნად, გამომცემლობა „ალაშარა", 1968-1983 წლები.



ვეტერანის გახსენება

# ფიცის ერთგულება

ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა დღევანდელი თაობა სახელოვნად განაგრძობს წინა თაობათა გმირულ ტრადიციებს, არ ივიწყებს, სათუთად ინახავს იმათ ხსოვნას, ვინც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, და — შემდეგაც, მამაცურად იბრძოდნენ დამნაშავეობის წინააღმდეგ.

ერთ-ერთი მათგანი იყო მილიციის მაიორი ბაგრატ შანაშის ძე ახვლედიანი. იგი წლების მანძილზე მუშაობდა გალის რაიონული მილიციის უფროსად, შემდეგ — აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ხოლო მოგვიანებით — მილიციის სამმართველოს საგამომძიებლო განყოფილების უფროსად. ბ. ახვლედიანი დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავის ორდენით, მთავრობის მრავალი მედლით.

... სოხუმის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ბ. ახვლედიანი კომკავშირული რეკომენდაციით მუშაობას იწყებს აფხაზეთის მუშურ-გლეხურ მილიციაში. ეს შემთხვევითი არ იყო — ოპერატიული მდგომარეობის მკვეთრი გამწვავების პირობებში, ქ. სოხუმსა და რაიონებში სისხლის სამართლისა და საგამომძიებლო აპარატის, პოლიტიკური განყოფილების მუშაობას სათავეში უნდა ჩადგომოდა ენერგიული, საქმიანი თვისებებით დაჯილდოებული კაცი, რომელიც თანამშრომლებს დარაზმავდა მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად. ბ. ახვლედიანი სწორედ ასეთი იყო. გამბედაობა, გამჭრიახობა, ოპერატიულობა, სითამამე — აი, რა თვისებები ეხმარებოდა მას რთული საკითხების გადაჭრისას.

დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში, და — შემდეგშიც, განსაკუთრებით გამოვლინდა მისი ჩეკისტური თვისებები. 1942-1953 წლებში ბ. ახვლედიანის ხელმძღვანელობით განადგურებულ იქნა რამდენიმე მსხვილი ყაჩაღური ჯგუფი, გამოვლინდნენ სახელმწიფო საკუთრების დამტაცებლები, რომლებიც მოკალათებულნი იყვნენ სხვადასხვა დაწესებულებებში. აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი 1942 წლის 10 მაისის ბრძანებაში აღნიშნავდა: „ამხ. ახვლედიანის იშვიათი ენერგიის, ალღოსა და სიმამაცის წყალობით გაიხსნა არაერთი ყაჩაღური ჯგუფის დანაშაული, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მიაკვლიეს თითოეულს, ვინც მონაწილეობდა ყაჩაღურ თავდასხმებში".

ბ. ახვლედიანი ათ წელიწადზე მეტი იდგა სათავეში აფხაზეთის მილიციის საგამომძიებლო განყოფილებას. იგი იყო არა მარტო ნიჭიერი, საქმის მცოდნე ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, არამედ დაჯილდოებული იყო კომუნისტის მაღალი თვისებებით.

სამწუხაროდ, მისი სიცოცხლე ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა. მაგრამ ბ. ახვლედიანის კეთილი საქმეები დღესაც ახსოვთ შინაგან საქმეთა ორგანოების შემდგომ თაობებს.

**შ. ქანთარია,**
**სოხუმის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების თანამშრომელი, მილიციის მაიორი.**

**სურათზე: ბ. ახვლედიანი.**



## სპორტი

### ასპარეზობენ ნორჩი ძალოსნები

**სოხუმში** გაიმართა სპორტსაზოგადოება „განთიადის" აფხაზეთის საოლქო საბჭოს პირადი პირველობა ძალოსნობაში ჭაბუკთა შორის. ორდღიანი შეჯიბრებების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ალიას ცუქბა (გუდაუთის რაიონის კალდახვარის საშუალო სკოლა), ჯამბული ქუთელია (სოხუმის მე-10 საშუალო სკოლა), იური მალია, თენგიზ აჯბა, დიმიტრი ამფარი, ბაშალ აგრბა, (ყველა — კალდახვრის საშუალო სკოლა), სპარტაკ იჩმელიანი, (სოხუმის მე-9 საშუალო სკოლა), ჯუმბერ ხიშბა (კალდახვარის საშუალო სკოლა), ბოგდან ბატიუკი, აშოტ კარაპეტიანი, კარენ კალაიჯიანი (ყველა — სოხუმის №58 პროფტექსასწავლებელი).

ბოგდან ბატიუკს ჰქონდა აბსოლუტურად საუკეთესო მაჩვენებელი ატაცში — 102,5 კგ. აკვრაში — 120 კგ. და ორჭიდის ჯამში — 222,5 კგ.

გამარჯვებულ და საპრიზო ადგილებზე გასულ ძალოსნებს გადაეცათ „განთიადის" საოლქო საბჭოს სიგელები.

ჩემპიონები მოამზადეს მწვრთნელებმა — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ი. კაზაკოვმა, სპორტის ოსტატმა ი. კიახბამ (ორივე გუდაუთა) და სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ს. ხაჩატურიანმა (ქ. სოხუმი).

დაკომპლექტდა აფხაზეთის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს „განთიადის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობაში. შეჯიბრება გაიმართება თებერვლის თვეში ქ. სოხუმში.

**ვ. მიხაილოვი,**
**შეჯიბრების მთავარი არბიტრი, ხაპატიო მსაჯი ძალოსნობაში.**

### ახალი ამბები, მოვლენები, ფაქტები

## წიგნთან მეგობრობა

ესტონეთის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პასუხისმგებელმა მდივანმა ევი პისკუნოვამ თქვა:

— დავიწყებ ამჯერად ჩვენი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის, ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ცნობილი ფილოსოფოსის და კოსმოლოგის გუსტავ ნაანის სიტყვებით: ჩვენი დროის ყველა დეფიციტთა შორის ყველაზე სახიფათოა აზროვნების დეფიციტი, ადამიანის აზროვნებას, რომელიც არ ვითარდება თანაბრად პროგრესთან, ემუქრება ჩამორჩენილობა და სასოწარკვეთილება ცხოვრებაში. ყველაზე, განვითარებული განათლების სისტემას არ შეუძლია გადაწყვიტოს ეს პრობლემა მთლიანად, თუ ადამიანი ბავშვობიდანვე სისტემატურად არ ავსებს თავის ცოდნას წიგნით.

კითხვისადმი სიყვარული ადრე ბავშვობიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ბავშვებს. ამიტომ არის ჩვენი საზოგადოება, რომელიც ეწევა წიგნის პროპაგანდას სხვადასხვა ფორმებით, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა შორის მუშაობას — უნდა ითქვას ამ საზოგადოების 40 ათასი წევრიდან, ნახევარს მოსწავლეები შეადგენენ, მათთვის ჩვენ ყოველწლიურად ვატარებთ საბავშვო წიგნების კვირეულს, რომლის მომზადებაში მონაწილეობენ განათლების სამინისტროს, აგრეთვე რესპუბლიკური წიგნის სახელმწიფო გამომცემლობის, კულტურის სამინისტროს, მწერალთა კავშირის და სხვა წარმომადგენლები. თითოეულ კვირეულში გამოიცემა ემბლემები, პლაკატები და სხვ. სკოლაში და პიონერთა სახლში მოდიან მწერლები, გამომცემლები, ბიბლიოთეკარები, ეწყობა გამოფენები, წიგნით ვაჭრობის ბაზრები და ლატარეა. გამოთვლილია, რომ საშუალოდ საბავშვო წიგნის კვირეულში 90 ათასი მოსწავლე მონაწილეობს.

ჩვენი საზოგადოების ამოცანაა წიგნებისადმი ბავშვებს

## ჩაუმქრალი კერა

თვალებციმციმა გოგონები და ბიჭები სიყვარულით შესცქერიან ნუცა მასწავლებელს. მოსწავლეები მისგან მუდამ ახალსა და საინტერესოს მოელიან. მისი გაკვეთილები მიმზიდველი და გასაგებია ყველასათვის, და ამიტომაცაა, რომ იგი სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს.

...ოთხნახევარ ათეულ წელზე მეტია გასული მას შემდეგ, რაც ნუცა ბაგათელიამ პირველად შეაღო სკოლის კარები, როგორც მომავალი თაობის აღმზრდელმა, პედაგოგმა, და იმ დღიდან მოკიდებული დაუღალავად იღვწის ამ სარბიელზე. მას სკოლის მერხიდანვე უყვარდა მათემატიკური საგნები და შემდეგ დაამთავრა კიდეც სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

ნუცა ბაგათელიამ დიდი სამამულო ომის წინ დაუკავშირა თავისი ბედი მასავით ახალგაზრდას, რეფო-შეშელეთის საშუალო სკოლის მასწავლებელს დომენტი ზაქარაიას, რომელსაც ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი ის-ის იყო დაემთავრებინა.

ნუცაც და დომენტიც — ორთავენი, 1940 წელს მიიღეს პარტიის რიგებში, და როგორც ახალგაზრდა კომუნისტები, თავიდანვე შრომისმოყვარეობით, მინდობილი საქმისადმი ერთგულებით იღვწოდნენ.

შრომობდა ახალგაზრდა ცოლქმარი და პირმშოს — პატარა სიმონის მომავლით ხარობდა...

...ორი წლის შექმნილი ოჯახის სიხარული დიდმა სამამულო ომმა დაარღვია.

უპირდა დედა-სამშობლოს და, დომენტი ზაქარაიაც უყოყმანოდ ჩადგა ვერაგი მტრის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში.

1941 წლის ბოლოს მიიღო ოჯახმა დომენტის ბოლო წერილი. იგი თავის მეუღლეს სწერდა, მტერი ვერაგია და ულმობელი, მაგრამ ვაჟკაცურად ვიბრძვით და, მწამს, ადრე თუ გვიან, გამარჯვებაც ჩვენი იქნებაო.

...დომენტი ზაქარაია ახლა უკრაინის მიწა-წყალზე განისვენებს, ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი.

არ ჩააქრო ახლადშექმნილი ოჯახის კერა ნუცა მასწავლებელმა, პატიოსნად ატარა დედისა და აღმზრდელის სახელი!

...და ახლა, შრომაში განვლილ წლებს რომ „გადახედავს", დიახაც რომ ბევრი აქვს მოსაგონარი უფროს კოლეგას, რომელსაც სკოლაში მუშაობის 45 წლის სტაჟი აქვს.

ნუცა ბაგათელია მუდამ იქ იყო, სადაც სამშობლო მოითხოვდა: წლების მანძილზე მუშაობდა იგი პარტიული ორგანიზაციის მდივნად, საკოლმეურნეო მინდვრებში ქმნიდა და ხელმძღვანელობდა სასკოლო შრომითს ბრიგადებს, პირნათლად ასრულებდა საზოგადოებრივ დავალებებს.

ვინ მოთვლის, რამდენმა ჯარისკაცმა ჩაიცვა მის მიერ შეკერილი თბილი ტანსაცმელი და მოქსოვილი წინდები.

, წლები, წლებს მისდევდნენ... ნუცა მასწავლებელი გულში იკლავდა დარდს ომში დაღუპულ და შინმოუსვლელ მეუღლეზე, შვილს ზრდიდა და თავისი ალალი შრომით ისიც სამშობლოს იცავდა.

დომენტის დედა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ერთი წუთითაც არ დაუკარგავს იმედი, რომ საცაა — დაბრუნდებოდა მისი შვილი...

ასეთია დედის რწმენის ძალა! ამ რწმენით — მერმისის იმედით ედგა ბურჯად თავის კერას ნუცა მასწავლებელი, ამ რწმენით ზრდიდა და ზრდის ახლაც იგი ახალ თაობას.

მართალია, ახლა დამსახურებულ პენსიაზეა, მაგრამ მშობლიურ სკოლაში კვლავ ემსახურება მოსაწვლეთა აღზრდას — მათემატიკას ასწავლის მოზარდ თაობას.

— ჩვენი ნუცა მასაწვლებელი! — ასე მიმართავენ მისი ყოფილი მოსწავლეები, რომლებიც წარმატებით შრომობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ბედნიერია ქალბატონი ნუცა — მისი ვაჟი სიმონ ზაქარაია სოხუმის ეთერზეთოვანი კულტურების საცდელი სადგურის მეცნიერ-მუშაკია, რძალი — ლუდმილა ექიმი, ხოლო შვილიშვილები ხათუნა და პაატა სანიმუშოდ სწავლობენ სკოლაში.

...თავად კი ყოველ დილით კვლავ სკოლისაკენ მოუყვება გზას — აქ ხომ დიდი და პატარა მოუთმენლად ელის მას...

**სვეტლანა მესხია,**
**გალის რაიონის აჩიგვარის №1 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.**

## მოსწავლეთა დისპლეის კლასი



**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი გამოთვლით ცენტრში შეიქმნა სპეციალურად მოწყობილი დისპლეის კლასი. აქ, პირველად ქვეყანაში, უფროსკლა-**

### საკურნირო ორბიტა

**ჩერნიგოვში** დამთავრდა ქალთა საკავშირო ჩემპიონატი ჭადრაკში (უმაღლესი ლიგა), რომელიც ამავე დროს მსოფლიო პირველობის ზონალური შეჯიბრებაც იყო — პირვე